მოითქვა მრავალ-უძიებობა ხელმწიფე იმპერატორისა,  
იმპერატრიცისა, მეძვიდრისა, მთელი სამეფო სასლე-  
ულობისა, უწმ. სინოდისა, მთავად უკლად უსამღვე-  
ლოებისა ზღვადისა; შემდეგ მოხსენებულ იქმნენ იმ-  
პერატორები, იმპერატრიცები, მეფეები, დედოფლები,  
თავადები და მთავრები, რომელთაც იშრომეს პართლ-მა-  
დიდებელი ქრისტიანობის გავრცელებისათვის რუსეთის  
იმპერიაში. შემდეგ სამოქალაქო და სამხედრო უწყებთა  
შინა, რომელნიც დღესასწაულობაზე დაესწრენ, ემთხვი-  
ენ ჯვარს, ამავე დროს მისი მთავად უკლად უსამღვე-  
ლოებსა, საქართველოს ექსარქოსი ურიგებდა საღვთის  
ჯვარს და სასულიერო—სხეობრივი შინაარსის წიგნებს.  
ბოლოს ღობისა დაიშალა და წავიდ. წამოვიდა თავისთ  
ეკლესიებში. თბილისის ყველა მართლ-მადლებელ ეკლეს-  
იებში წარების რეკა ან შეწყვეტილა მთელი დღე. ქა-  
ლქი მორთული იყო ბაიბლებით, საღვთის კი მთელი  
ქალქი განაღებული იყო. მეორე დღეს, 16 ივლისს,  
დიდის 11 საათზე, მისმა მთავად უკლად უსამღვე-  
ლოებსა საქართველოს ექსარქოსმა ზღვადამ ქალქის  
უმაღლესი სამღველოებითურთ აკურთხა ახალი სამლო-  
ცველო, რომელიც აღშენებულ იქმნა რუსთა ნათ-  
ლის დებიდან 900 წლის შესრულებას დღესასწაულობის  
სახსოვრად ქაშეთის წმ. გიორგის ეკლესიის გაღვან-  
ში. დღით-მისხურების დროს დასწრენ უმაღლესნი  
შინა და მრავალი საღვთის. როცა სამლოცველოს გურთ-  
სკის წესი შესრულებულ იქმნა, ექსარქოსმა ასხურა  
სამლოცველო და, სანამ საღვთის ჯვარს ამოკვავდა, წარ-  
მოითქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც გამოხატა მიზანი  
და მნიშვნელობა ამ სამლოცველოს აღშენებისა.

ამავე დღეს, 12 საათის ნახევარზე მისმა მთავად  
უკლად უსამღველოებსა აკურთხა და გახსნა «საე-  
კლესიო ძველ ნაშთთა საცავი» სიონის სობოროსთან.

შენობა ამ მუზეუმისათვის აღშენებულ იქმნა დღით-  
მშობლის სახელობაზე დასრულებული ძეგლის მეტადინეა-

ბით. შენობა აღშენდა სიონის ტაძრის გაღვანში. ამ  
ძველ ნაშთებს ძლიან დიდი მნიშვნელობა ექნებათ ან-  
ქელოლოგიისათვის. მისმა მთავად უკლად უსამღველოე-  
სობამ, საქართველოს ექსარქოსმა ზღვადამ ადგილო-  
ბითი უმაღლესი სამღველოების თანდასწრებით აკურთხა  
მუზეო. მუზეოს გურთხევის შემდეგ მათმა მუზეუმამ  
წარმოთქვა შემდეგი მოკლე სიტყვა:

«მოელი რუსეთი მადლობს ღმერთსა და ბრწყინ-  
ვალედ დღესასწაულობს თავის ნათლის დებიდან 900 წ.  
შესრულებას; ამასთანავე ადიდებს და აქებს ამ დღესას-  
წაულობის მიზეზს წმ. მოციქულთ-სწორის დიდ მთავრის  
გლადიმირს. რუსეთის იმპერიის ყველა ადგილებში ამ  
შესანიშნავი დღესასწაულობის სახსოვრად ხსნიან დღითის  
სასამოვნო და სულის და გონების განმანათლებელ და-  
წესებულებათა. ჩვენმა გურთხეულმა ივერამაც, რომელ-  
შიც შვიდი საუკუნით ადრე მოიფინა ქრისტიანობა,  
კინებ რუსეთში, და რომელიც, რუსეთის სასულიერო-  
თან და ეკლესიასთან შეერთების დღიდან, მუდამ და  
შეუცვლელად იღებს უმაღლესეს მონაწილეობას რუ-  
სეთის ყოველივე მოქმედებაში, ამ შესანიშნავი დღესას-  
წაულობის დღე თავის ერთობისა და გულთადა თან-  
გზმნობის სახსოვრად, შესწირა თავის წვლილი, რომ-  
ელსაც დღითის სასამოვნო და სასულიერო განმანათლე-  
ბელი მნიშვნელობა აქვს. ქართველებმა აღშენეს სამ-  
ლოცველო წმ. მოციქულთ-სწორის დიდი მთავრის გლადი-  
მირის სახელობაზე, რათა მასში შეეკადრონ უფალ-  
სა ღმერთსა, რომელიც ამოდენი საუკუნეების განმავ-  
ლობაში კეთილად იცავს რუსეთის ეკლესიას და სასულ-  
მწიფოს, ამავე დროს სასულიერო განათლების მიზნით  
ისხნება მეორე დაწესებულება, რომელსაც ეწოდება  
«საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავი», რომელშიც უნდა  
შეიკრიბოს ძველი წერილობითი და საეკლესიო ნაშთნი,  
რომელნიც გადაჩინიან უწინდელი დროიდან; ასეთი  
ნაშთნი, რომელთაც დიდი და განსაკუთრებითი მნიშვნე-  
ლობა ექნებათ საეკლესიო ისტორიისათვის, ზღვადამ  
მოიხრებინა საქართველოში.

«ასეთი დაწესებულება ნამდვილად შექვეყნის რუსე-  
თის ამ შესანიშნავ დღესასწაულს. ბრძენი განმანათლებე-  
ლი რუსეთის ცდილობდა როგორც რუსთა ნათლის-  
ლებას, ისე მათში სწავლა-განათლების გავრცელებას. ამი-  
ტომ იგი ყოველი მხრიდან გრებდა საღმრთო წიგნებს,  
და სხვა-და-სხვა წერილობითი ნაშთებს, რომელნიც  
პირველი საშუალებანი არიან საღვთის განათლებისათვის;  
წმ. გლადიმირი ამისთანა საგნებს ხსნ ბეჭდების იმპე-  
რატორებსა სოსოვად და ხსნ კონსტანტინეპოლისა ბატ-



რისკეს; შობდა ამავე საგნებს რუსეთის სხვა მონათუ-სავე სლავიანების შორისაც. ამისთანა დაწესებულებებით დიარსულებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ წმ. მოც.-სწორი დიდი მთავარი ვლადიმირი. რადგან ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ამ «საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავს», გულით ვისურვებ, რომ მან წარმატებით შესრულდეს თავისი დანიშნულება და გაამართლოს ის იმედი, რომელსაც მასზე ვსდებთ...

«ძმობამ, რომელიც დაარსებულია წმ. ლეთის.მშობ-ლის სასელობაზე, უნდა განაგოს ეს დაწესებულება. შეეწიოს მას ზეციური საფარველი ლეთის.მშობლისა, რომლის წილ-სდამილი არის საქართველო, რათა ამ დაწესებულებაში ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს ივე-რისს»...

სიტუაციის გათვალისწინებით, მისმა მძალე უოვლად უსმდედგლოქობამ გამოაცხადა, რომ საეკლესიო ძეგლ ნაშთთა საცავი გახსნილია; ამის შემდეგ ამ ძმობის საეკლესიო-რეკონსტრუქციული განყოფილების თავს-მჯდომარემ, სამეცნიერო აკადემიის წევრმა—გორ-რესპონდენტმა დეისტ. სტ. სოკ. დიმიტრი ზაქარაძის შემ-ბაქრძემ წარმოასთქვა რუსულს ენაზე შემდეგი სიტყვა:

«თქვენო მადალ უოვლად უსამღვდე-ლოცობაგ და მოწყალებო ნელმწიფენო!»

ამ სამი წლის წინათ დაარსებულმა ძმობამ საქარ-თველს საექსპანსიონისამ თავის წესდების ძალით 24 მაისს 1888 წელს დაადგინა, გარდა მართლ-მადიდებელი ქრისტიანობითი განათლების გავრცელებისა საექსპანსი-ონში, შეუდგეს როგორც მართლ-მადიდებელი ძველი ნაშთების გამოკვლევას და დაცვას, ისე საშუალებათა გამოხატვას საეკლესიო ისტორიული მუზეუმის აღსაშენებ-ლად, რომელშიაც უნდა შეკრებილ იქმნეს ძველი საქ-ეკლესიო ნაშთი, რაიცა გაზრდილი არიან მთელს საქ-სარსლოში. დღეს, როგორც ხედავთ, ძმობის მტრ-დინეობით შესობა მუზეუმისთვის უკვე აგებულია და იმის გახსნა ხვდა რუსთა ნათლის-ებობდგან 900 წლის შესრულების დღესასწაულბადას.

ეს ამბავი არ არის უბრალო შემთხვევის მიზეზი, არამედ მის განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს და, მე მგონია, რომ უკეთესი შესანიშნავი დღის გამოარჩევა ამ მუზეუმის გახსნისად არც ვი შეიძლება. არიან ფაქ-ტები, რომელნიც ნებას გაძლევენ ვიფიქროთ, რომ ის დრო, როცა რუსებმა მართლ-მადიდებლობა მიიღეს, წარმოგვიდგენს დასაწყის და ზნეობითი კავშირს სა-

ქართველსა და რუსეთს შორის,—კავშირს, რომელიც არ შემწედა არც შემდეგ საუკუნეებში და თან და-თან ძლიერდებოდა და ბოლოს გათავდა საქართველოს რუ-სეთთან შეერთებით. მართალია, რომ ასეთი ფაქტები პირველ ხანებში ძალიან იშვიათად მოიძებნებოდა, მაგრამ ისტორიკოსისათვის მათთან დიდი მნიშვნელობა აქვს და მე ეჭვი არა მაქვს, რომ ეს კითხვა ნამდვილად გამოი-რკვევს, როცა ცნობაში მოიყვანენ საქართველოს იმ წე-რილობით ნაშთებს, რომელნიც აქამოდე სელ-უნლებ-ლად ეწევენ ეკლესიების წიგნთ-საცავებში. დღეიდან ვი ეს ნაშთი შეიქნებინ ჩვენი მუზეუმის საკუთრებად. თქვენს უფრადლებას მივაცტეკ აღნიშნულ ფაქტებზე პირ-ველ ხანაში, X და XVI საუკუნეების შორის. მე—XVI საუკუნიდამ დაწეული ეს ფაქტები იმდენად ცხადნი არიან, რომ ისინი განმარტებას არ საჭიროებენ.

ქართველების რუსეთთან ადრინდელი კავშირის შესა-სებ ცნობას ეხანულობთ ჩვენ პირველად X და XVI საეკ. ქართულს ხელთ ნაწერებში, რომელნიც ეკუთვნიან ათონის ივერიის მონასტერს. ამ ხელ-ნაწერებიდან სჩანს, რომ ქართველ ბერ-მონაზონთა შორის მონასტეობად რუსის ბერ-მონაზონებიც, და ამასთანავე ივერიის და რუსიკის ანუ ზანტლევიმონის მონასტრებში მცხოვრებ ბერ-მონა-ზონთა შორის ვხედავთ მეგობრულ განწყობილებასაც; როგორცა სჩანს რუსულ წყარობიდან, პატარა მონასტ-რის, კაცარის, რომელიც სადაგო იყო ბერძენთა და რუ-სებს შორის, რუსიკის მონასტრისადაი გადაცემის დროს მოწმად დასწავლია ქართველი წინამძღვარი დიმიტრი. იმ დროს რუსებმა, რასაკვირველია, თვით საქართველოშიაც დადიოდენ, რასაც ამტკიცებს ჩემი გამოკვლევა; როცა მე დაკავალეიქე საქართველოს ძველი ტაძრები, ზოგიერთ ამ ტაძრების კედლებზე ვხეკე წარწერანი, რომელნიც სლავიანური ასოებით არიან ამოჭრილნი და ამიტომ საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ჩვენი ტაძრბის ნანგრევებში ვხანავთ იმავე დროის რუსის ხელისანთა ნაკეებ ნაშთებსაც; რომ XVI საუკუნეში საქართველო-ში მოდიოდენ რუსეთიდან ხატების მსატარანი საქარ-თველს მეფეების თხოვნით ჩვენი ტაძრბის დასახატავად, ეს მტკიცდება როგორც ოფიციალურად, ისე აღმოჩენილ ნაშთა მოწმობით, რომლებზედაც სლავიანური ასოებით არის წარწერები.

იმავე დროის ნამდვილს ფაქტებს წარმოგვიდ-გენენ საქართველოს და რუსეთის სამეფო გვარეულობა-თა წევრების ერთმანერთ შორის ქორწინებითი კავშირი. უოველივე ეჭვს გარეშა ის ფაქტი, რომ მეუღლე რუსე-თის დიდის მთავრის იზისლავ მსტისლავის ძისა, რომ-





მელსაც კარამზინი მეფის აბაზის ქლად უწოდებს, იყო ქალი საქართველოს მეფის დიმიტრისა, რომელიც მეფობდა 1125 და 1154 წლებში. ამ ქორწინებას აწერენ 1154 წ. როგორც ქართული, ისე რუსული სელაწეობისაგან სხანს ცხადათა ქორწინება საქართველოს დედოფლის თამარისა (1124-1212) დიდი მთავრის ანდრეა ბოლოლიუსის შვილზე გეორგიზე. ამ დროს, როგორც სხანს, საქართველო ძალიან დასლოკებული ყოფილა რუსეთთან; ეს იქიდანაა სხანს, რომ როცა ლაზარაჰი ზამოკარდნილა თამარის საქმის ამოწმებაზე და როცა გიორგის სახელი უხსენებიათ, აღმოჩენილა, რომ საქართველოში უკვე ქქეობით შეკრებილი ცნობები გიორგის ვინაობაზე და ის გარემოებანიც სცოდნიათ, რომელთა გამო გიორგი იძულებული შეიქნა წასულიყო რუსეთიდან პოლოცკელების ქვეყანაში, სადაც იგი გატაცდებოდა სტროგობდა, და ქართველებს ამ გიორგისათვის მიუციათ უბრატკობა იმ პირთა შორის, რომელთაც სურებიათ თამარის თხოვა, რადგან, როგორც საქართველოს მატინე მოგვითხრობს, «გიორგი ეკუთვნოდა ხალსს, რომელიც აღიარებდა მართლ-მადიდებელს სარწმუნოებას.

მონგოლთა სატახტო ქადაქში საქართველოს დიდი კაცობის და მეფეების შესვედრის რუსეთის დიდკაცობთან და მთავრებთან, რომელსაც მოწმობს კვრთხილი მოგზაური პლანო კარზინი, რომელსაც ეს პირნი უნახავს 1246 წ. მანგუ-ხანის სასახლეში, კიდევ უფრო უნდა დაესლოკებია წამომადგენელნი ორი ერთ-მორწმუნე ხალსისა, რომელნიც ერთ-გვარად იტყუებოდნენ კედურ მონგოლთა მონობის ქვეშ. გარემოებანი, რომელნიც თან დაერთენ ქ. უაზანის რუსებისაგან ალებს, გვიმტკიცებენ ამ აზრს. გონებ ბევრმა თქვენგანმა არ უწყის, მაგრამ ის კი ნადვილია, რომ უაზანის ალება პირველად იოანე დიდისაგან 1487 წ., ხოლო შემდეგ იოანე გროზნისაგან 1558 წ. საქართველომ მიუღოცა რუსეთს თავისგან გავაზანილი კაცობის პირით. აქ ურადლება უნდა მივაჭროთ იმაზე, რომ როცა ჯარს, რომელიც გაჩნ რტუმი უაზანს, კერ გაუბედიანს უბის დაწყება, იოანე გროზნი მიბრუნებია ჯარს და გაუმხეკვებია; სხვათა შორის, იოანეს უჩვენებია ჯარისათვის ის გარემოებანი, თუ როგორ იმარჯვებდა ხოლმე თამარი ჯარის შემწეობით: «თქვენ გაცონილი გაქვსთ, და უწყის იოანეს, ღვთის დიდი მოწყალეა და ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის შემწეობა, რომლის ძალით ივერიელმა ეველზე ბძემმა დედოფალმა თამარმა დიდებულად ხდია უღმერთო ბერსიელებს?» აგრეთვე საჭიროა მი-

ვაჭროთ ურადლება იმაზეც, რომ ეს სიტყვა, როგორც ბევრი ამტკიცებენ, კარგა ვრცლად არის დაწერილი თამარზე და ვიღაც უცნობი ავტორისაგან, რომელსაც ეს ცნობები შეუკრებია ქართული წყაროებიდან. ეს წერილი მოხსენებულა «უაზანის სამეფოს ისტორიაში». თამარის ერთ იმძვეკათაგან, რომელსაც იოანე გროზნი იხსენიებს, ასახელებენ დედოფლის დიდებულძვეკას 1203 წ. შამხარის დროს (mée usiatique, I, 563-578.— addit. a l' uistoize delu géozgie 1851 წ. 288-296).

ვათაგებთ ამ ფაქტებით, მხოლოდ მოგაკონებთ თქვენ, რომ XVI საუკუნის შესრულების შემდეგ იწყება ხშირი მიმოსვლა საქართველოს მეფეებისა და მფლობელებისა რუსეთის სელმწიფეებთან; პირველად ამ მიმოსვლათა მიზანი იყო ის, რათა რუსეთს მივარკვებოდა აღმოჩენა საქართველოსათვის; ხოლო შემდეგ ჩვენი მეფეები ითხოვდნენ, რათა საქართველო ქვეშევრდომად მიეღო რუსეთს. ვიმეორებ, რომ ადრევე ხანებში საქართველოს რუსთან დასლოკების ისტორიული მსგელობის გამოსარკვევად საჭირონი არიან ქართული ნაწერების ძველი ნაშთები, რომლებიც უნდა შეკრებილ იქმნენ ამ ახლად გახსნილ მუზეუმში.

ამისათვის ჩვენ უკვლანი უნდა შევეწიროთ და სელი მოუწოთ მუზეის წამატების საქმეს. ამასთანავე ნება მიბოძეთ გაცანოთ თქვენ წესდება ამ დაწესებულებისა, ანუ როგორც ის თვით წესდებაში იწოდება, «საეკლესიო-არქეოლოგიურ ძველ ნაშთა საცავისა საქართველოს საექსარხოსოში». ამ წესდებით, რომელიც მოწინებულ იქმნა მალე ყოვლად უსამდელოებისა შალდადისგან და წარდგინელ უწმ. სინოდში დასამტკიცებლად, ძველნაშთა საცავში შეინახებინ: ა) ძველი სელთ-ნაწერები, ძველი ნახეტი წიგნები და გუჯრები, ანუ რქები საქართველოს მონასტრებისა, ეპისკოპოსების საკათედრო ტაძრებისა და სამრევლო ეკლესიებისა; ბ) ძველი აკვრულთა— შესამოსლები, საღმრთო ჭურჭლები, და სხვ., რომელთაც დღეს აღარ ხმარობენ ღვთის-მსახურების დროს, ანუ რომელნიც სახმარებლად აღარ ვარგან; და ყველა საეკლესიო ნაშთები, რომელნიც მოაზრობიან საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების და ეკლესიების ნანგრევებში. განსაკუთრებითა განყოფილება ძმობის რჩევისა, რომელსაც უნდა მართოს ეს ძველნაშთა საცავი, ვადებულა: ა) იქონიოს აფიციალური სია (КАТОЛОГЪ), რომელშიაც სინამდვილით და სიწორით უნდა იქმნენ აღნიშნული ყოველი ნივთის სახელი და



ის ადგილი, საიდანაც რა ნივთის გამოგზავნილი; და ბ) იმ ნივთებს, რომელთაც განსაკუთრებით მნიშვნელობა ექმნებათ მეცნიერებისთვის, უნდა შეუდგინონ დაწერილობითი აღწერილობანი.

წესდება, როგორც სედავთ, ძალიან დიდ მოკალებას სდებს ძმობის რჩევის განსაკუთრებით განყოფილებას: განყოფილებამ უნდა შეჭკობოს საეკვლესიონაჩქელოლოგიური ნაშთები და შეუდგინოს მათ სია. იმედი გვაქვს, რომ ძმობის განყოფილება თავის მოკალებას სინდისიერად შეასრულებს; მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ განყოფილების ასეთი მოკალება ვერ დააკმაყოფილებს კერძო საზოგადოების განთლებულ ნაწილს და კერძო მეცნიერების მძიებელთ. რასაკვირველია, სასეში გვაქვს, რომ ძმობის რჩევის განყოფილების წევრებზედ მოკავშირეთ უფრო ნაწილად და განთლებულნი ვიხილო; მაგრამ ამასთან ნუ დავივიწყებთ, რომ აჩქელოლოგია საზოგადოდ და საქართველოსი განსაკუთრებით ძალიან ძნელი საქმეა, ვინაიდან ძველ ნაშთებზე ქართული წარწერების შესწავლა, მათი ისტორიულად და ფილოლოგიურად განჩეკვა ხანგრძლივ მომზადებას და შრომას ითხოვენ. ამიტომ განყოფილება საჭიროდ რაცის ეს ძველ-ნაშთთა საცავი თავდაპირველად აქტიოს თავის მოსამზადებელ სკოლად. შემდეგ, რასაკვირველია, აღძრულ იქნება კითხვა ძველ ნაშთთა საცავში მოგროვებულ ნივთების მეცნიერულად განჩეკვაზე და სპეციალურ გამოცემაზე, რომელმანც უნდა შეატყობინოს განთლებულ საზოგადოებას ის ნივთები, რომელნიც საცავში იქნებიან. მაგრამ ეს, როგორც სედავთ, დამოკიდებულია დროზე და შეძლებაზე, თუ ასეთი აღმოჩნდება ძმობის განკარგულებაში».

ეს სიტყვა დიდის უფრადებით მოასმინეს შველა იქ დამსწრე პირებს. ამ სიტყვის შემდეგ აღვიდა კათედრაზე საქართველოში სტუმრად მოსულა, გამომჩინილი არქეოლოგი ალექსანდრე თეოდორეს ძე სელევიაკოვი, რომელიც წევრთა პეტრობურგის არქეოლოგიურა ინსტიტუტისა. ასანდგავდა მეცნიერმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც ღირსეულად შეაქო საქართველო.

მესამე დღეს, 17 ივლის, კვირას, ნაშუადღევის პირველ საათზე აქტი იყო თბალისის სასულიერო სემინარიის შენობის ერთ ზალაში. დანიშნულს დროს მობრძინდენ სემინარიაში ძალად ყოვლად სამღვდელთ, საქართველოს ექსარხოსი ზღვადი, ეპისკოპოსი ბესარიონა, საქართველო იმერეთის სინოდისნი კანტორის წევრნი, ქალაქის მთელი სამღვდელთა და დიდძალი ხალხი.

აქტი გაიხსნა ლოცვით, ლოცვის შემდეგ წაკითხულ იქმნა სამი ლექცია. პირველად ლექცია წაიკითხა მ. დეკანოზმა კალისტოვამ, რომელმაც მოუთხრო იქ დამსწრეთ რუსეთის სასკლმწიფოის დაარსება და რუსეთის ხალხის ნათლისღება დიდი მოაზრის წმ. მოციქულთ სწორის კლადიძის დროს. მეორე ლექცია წაიკითხა სემინარიის მასწავლებელმა, რომელმაც განუმარტა მსმენელთ, თუ რა ზედ-მოქმედება აქვს კაცის სულზე ქრისტიანობას; მესამე ლექცია წაიკითხა სემინარიის ინსპექტორმა მ. ბერ-მონასტონმა ნიკანორმა; მ. ნიკანორმა დაწვრილებით მოუთხრა მსმენელთ ის გაკლენა, რაიცა ჭქობდა მართლ-მადიდებელ ღვთის-მსახურებას რუსეთის ხალხზე წმ. კლადიძის დროს.

როგორც კითხვის დროს, ისე ლექციების გამოთქვას მისი ძალად ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ბგალობელთა გუნდი მშვენიერად გალობდა ხალხურ ჭიმს «ღმერთო, დაიტეკ მეფე!» ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა ტელეგრამა, მიღებული ძალად ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ზღვადის მიერ კიევიდან ერთი ვაკასიელი დეპუტატისგან, რომელიც გავზავნილი იყო კიეში რუსების ნათლისღების 900 წლის დღესასწაულზე დასასწრებლად. იი ტელეგრამის შინაარსი; «დღესასწაულობა შესრულდა შესანიშნავი გულს-მოდგინებით; გარდა კიევის მიტროპოლიტისა დაესწრენ კიდევ ორი—სერბიელი მისაღი და ჩერნოგორელი—მიტროფანე, 14 მთავარ-ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და სხვა მრავალნი წარმომადგენლნი; მასწინძობა გაუწიეს ყველას ნამდვილ რუსული. თქვენს ძალად ყოვლად უსამღვდელოესობას ხალხს უძღვნიან ყოვლად სამღვდელთა მიტროპოლიტნი, მთავარ-ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, ბაბუკ-პროკურორი უწ. სინოდისა, მმართველი სინოდის კანცელარიისა ვ. კ. სხლერი და სხვანი მრავალნი».

აქტის გათავების შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა გადასცა ხალხს ლოცვა-კურთხევა და მასთან დამსწრეთ დაურთო სასულიერო ზნეობითი შინაარსის წიგნები და ცხოვრება წმ. შლოდიმირისა.



საზოგადოებრივი მკვლევარობა.

31 ივლისს, ნაშუადღევს ორ საათზე ქუთაისში მოხდა საზოგადოებრივი მკვლევარობა, რომელშიც თავზარი დასტა მთელს ქალაქს. მოჭკლეს ბლადონინი მღვდელი საკათედრო საბოროსი მ. ილარიონ გერსამია. განსკუ- ნებული სტროკებდა არქივის ქუჩაზე, წმ. გიორგის ეკლესიის მახლობლად.

აი როგორ მოხდა ეს საზოგადოებრივი მკვლევარობა: ღამის ორ საათზე გორასზე მცხოვრებნი გამომავლია კა- ტის არს ჩვეულებრივმა უვირილმა, რომელიც მოისმობდა მ. გერსამიას სახლიდან. უვირილზე გამოცვივდენ ახლო- მახლო მეზობლები და გაქანენ გერსამიას ბინისაკენ, საიდგანაც განსკუნიებული ძმისწული საზარკელის ხმით გამოიძახოდა: «ბიძა ჩემი მოჭკლესო». როცა მეზობ- ლები შეიკრიბნენ, მ. ილარიონ გერსამია ნახეს მისი სახლის ბალონზე მდებარე მთლად გასისხლიანებული და თერ- მისდილი. განსკუნიებული საბოროს ხმით გაიძახო- და: «მიშველეთ რამეო». მაშინვე მ. გერსამიას ოთახი- დამ გამოიტანეს კარატი და ზედ დაწვიინეს ავადმყოფი. როცა მ. გერსამიას გასისხლიანებული პერანგი გახადეს, აღმოჩნდა, რომ ავასაკებს მ. გერსამიასათვის ხანჯალი ჩაკრათ მარჯვენა ბეჭის მახლობლად. ხანჯლის წვერო მეორე მხრით იყო გამოწული. ჭრილობიდან, როგორც კოკის პირიდან, გამოდიოდა სისხლი. ეს ამბავი მა- შინვე პოლიციას აცნობეს. სულ ნახევარი საათის განმავ- ლობაში მთელი პოლიციის წარმომადგენელნი მოვიდნენ. როგორც მეზობლებმა, ისე პოლიციის წარმომადგენ- ლებმა გამოჭკითეს მ. გერსამიას, თუ ვინ თუგენ ავასა- კები. უგელა ამ კითხვებზე მამა ილარიონ გერსამია იძლეოდა ერთსა და იგივე პასუხს: «მე მეძინა, როცა ავასაკები დამწვიინენ ოპზე და პირზე ხელი და- მაფარეს და მეუბნებოდენ: «ხუმათ იფუიო». მე გაუ- ძლდი მათ და ამიტომ ხანჯალი ჩამკრეს ზურგში და გაიქნენ. ძალიან კი გეომე. თული მათ არ უთხოვნიათ. კაცი სულ სამი ან ოთხი იქნებოდა. ოთხისს უგანა გა- რები დაუგეტელი მჭონდა და იქიდან შემოვიდენ ავასა- კები». ამ დროს მოვიდა ქალაქის ექიმი, რომელმაც სთქვა, რომ ჭრილობა სისიგვინიო და დაიბრა, რომ უინული ადევით ჭრილობაზე, რომ სისხლის დენამ იკლო- სო და წავიდა. მოვიდა გამომეძიებელიც, რომელსაც მ. გერსამიამ იგივე ხველება მისცა, როგორც პოლიციას. ნაშუადღევს 4 საათი იქნებოდა, რომ მთელი პოლიცია და ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ზ. უი-

ფიანი ჩათვრებით გამოედგნენ ავასაკებს. დილის შვიდ საათზე მ. გერსამიამ დაუძახა ერთ თავის ნაცნობს და უთხრა: «უთში ვექსილების და ჩემს შვილს არ დაკარ- გოსო». ამ დროს მოვიდა პოლიციის ბოქაული თ. წუ- ლუკიძე, რომელსაც დამტკრული უთება ენახა ქალაქს გარედ, ოლასკურასზე და იკითხა: უთები ხომ არაფე- რია წადებულიო. მ. გერსამიამ დაუძახა თავის შა- ტარს მოსამსახურეს და უთები მოაძებნია. აღმოჩნდა, რომ ორი შატარს უთი, რომელშიაც თულება ჭკონების ხოლმე შენახული მ. გერსამიას, წადებული იყო. მაშინ ამო- იოხრა მ. გერსამიამ და პირზე ჯვარი გამოისახა. მხოლოდ მაშინ დაწმუნდა საბოლო, რომ ავასაკები თულებიასთვის იუგნენ მოხუცნი. პოლიციის ბოქაულმა ბ. ბ. დ—მეჭკითა მ. გერსამიას, თუ რაიყო უთებშიო; ამაზე მ. გერსამიამ მიუგო: «ერთ უთში იყო თექვსმეტი თუმა- ნი თეთრი თული, ერთი თუმნის კვატირინეს მანეთები, ვექსილები და სხვა-და-სხვა საბუთები».

მეორე დღეს ექიმის მოსვლამდის მოიყვანეს ბ. თუქმანიძე, რომელმაც დაამედა მ. გერსამია და წამ- ლების მოსატანად წავიდა. თუქმანიძე მალე მობრუნდა უგარვე და ჭრილობა გაუხადა. ჭრილობის გამოწო- მის შემდეგ სთქვა, ჭრილობა სისიგვინიო არ არისო და წამალი დადო მასზე. ამ დროს მოვიდა ექიმიც. ექიმმა დათვლიერა ჭრილობა და მერე თუგრა იგი. გა- ათავებს თუ არა ჭრილობის აკრება, მ. გერსამიამ, რომელსაც აქობამდე სრული მესიიება და ცნობა ჭკონდა, დაიყვირა: «სული შემესუთაო» და განუტევა სული.

იმავე დღეს პოლიციამ და მაზრის უფროსის თა- ნაშემწემ ბ. ზ. უიფინმა ორი ავასაკი დაატუსაღეს, რომელთაც ჯანებში უნახეს ზოგაერთი საბუთები მამა გერსამიასი. დღემდის თითქმის 5 ავასაკი არის ამ საქ- მის შესახებ დაჭერილი. ესლ ნამდვილად შეტუობილია, რომ ავასაკები ყოფილან ექსა. მათ ეს საქმე განზრ- ხული ჭკონებისთ ექსა თვის წინად. ზოგაერთი მათ- განი თუქმე სშირად დადიოდა მ. გერსამიას სახლში და კორში, როცა განსკუნიებული ახალ სახლს ამენებდა. ავასაკებს შეტუობილი ჭკონით, თუ სად ეწეო მ. გერ- სამიას თულებიანი უთები. შეტუობილია აგრეთვე ისიც, რომ მ. გერსამიას მოკვლა არ სდომებიათ ავასაკებს, რომ განსკუნიებულს წინააღმდეგობა არ გაქვია მათთვის. როცა განსკუნიებულის ძმის წულს უვირილი დაუწეა, მაშინ მ. გერ- სამიას ორი ავასაკი ხელში ჭეოლებია დაჭერილი, ამ დროს ერთს ავასაკს ამოუღია ხანჯალი, ჩათვრავს ზურგში მ. გერსამიასათვის და გაქტეულან.



მ. გერსამია იქნებოდა 49 წლისა. იგი წინეთ მსახურებდა სვანეთში, სვანეთიდან გადაიკადა ჯუხსუმიში, სადაც უკანასკნელი 12 წელიწადი იყო ბლადონინად და მღვდლად. წელს განსკვნებული თავისი თხოვნისა მეტრ იქრეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა გამოიყვანა ქუთაისის საკათედრო საბინოში მღვდლად. განსკვნებული თავის მუყაითი სამსახურისათვის კარგად დაჯილდოებული იყო: მას ჰქონდა კამილაკვა, მკვდის ჯვარი და ანნას მესამე ხარისხის ორდენი.

**შენიშვნა ზარებსზე.**

ზარების ხმარება ძალიან ძველი დროიდან არის შემოღებული, მაგრამ პირველ ხანებში ზარებს არა ჰქონდათ ის დანიშნულება, რომელიც დღეს აქვს მათ.

რომაელები ხმარობდნენ პატარა ზარებს შინაური საჭიროებისათვის: ზარის ხმით უძახდნენ თავიანთ მოსამსახურეებს, აღვიძებდნენ მათ, ანიშნებდნენ კარების გაღებას და სხვ. ძველი ბერძნები ზარების შემწობით ხალხს იწვევდნენ ხალმე სავაჭრო მოედნებზე და სხვა. ზარების ხმარება მლოცველების ეკლესიებში შესაკრებლად შემოიღო, როგორც ზებირ-გადმოცემა მოგვითხრობს, წმ. პავლინმა ნოლანსკიმ (400 ქრ. დაბადების შემდეგ). ამავე წმიდანს აწერენ პირველადე დიდი ზარების ჩამოსხმას.

მეექვსე საუკუნის ნახევარში დასავლეთ ევროპაში თითქმის ყველგან შემოიღეს ზარები; შემდეგ VIII და IX საუკუნეების განმავლობაში ზარების ხმარება გავრცელდა ყველგან. ალკუინი, რომელიც ცხოვრებდა დიდი ძარლოსის მეფობის დროს, მოგვითხრობს რამდენიმე შემთხვევას ზარების კურთხევის სას. საბერძნეთში კი ზარების ხმარება შემოიღეს უფრო გვიან. პონსტანტინებოლში პირველად ზარები გამოუგზავნა იმპერატორს მიხეილს პენციცილმა დოჯემა, ზარები სულ 13 იყო და გამოგზავნილი იყო წმ. სოფიის ტაძრისათვის.

რუსეთშიაც ზარები დასავლეთიდან შემოიღეს და, როცა მლადიმირმა ქრისტიანობა მიიღო, ზარები უცებ გავრცელდნენ. მონგოლების თავს-დაცემამდის რუსეთში ზარებს ხმარობდნენ მართა უმთავრეს ეკლეს-

სიებთან. პირველად ზარებს ყიდულობდნენ და მოჰქონდათ რუსეთში დასავლეთიდან. ეს ზარები პატარაები იყვნენ, რადგან დიდი ზარების მოტანა მაშინდელ დროში ძალიან ძვირათაც ჯდებოდა და მასთან ხვირიანი გზების უმექონელობისა გამო ძალიან საძინელოც იყო. დიდი ზარების ჩამოსხმა იწყეს რუსეთში მას შემდეგ, როცა თვით რუსეთშივე დაიწყეს ზარების კეთება. აქვეში ზარების ჩამოსხმა დაიწყეს XIII საუკუნეში, მაგრამ თათრების თავ-დასხმამ შეაჩერა ეს საქმე. მაგრამ განთავისუფლდა თუ არა რუსეთი თათრების მონობისაგან, ზარების ჩამოსხმის საქმე ისევ განახლდა; ჯერ ისევ დასავლეთიდან დაიწყეს ზარების მოტანა რუსეთში, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვით რუსეთშივე დაიწყეს ზარების კეთება.

შველა იმ საგანთა შორის, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება კი აქვსთ ღვთის-მსახურებასთან, ზარებს შესამჩნევი ადგილი უჭირავსთ. ზარების კარგად დაკვრა ხელს უწყობს ღვთის-მსახურების დიდებულად შესრულებას; ზარების რეკა დღესასწაულ დღეებს აძლევს მხიარულებას, ამაღლებს კაცის სარწმუნოებრივ გრძნობას და ამზადებს მორწმუნეთა, რათა მათ პატივი სცენ სარწმუნოების საიდუმლოთა შესრულებას. მთელ საქრისტიანოში ზარები ითვლებიან ღვთის-მსახურების საკუთარ და მიუცილებელ ნაწილად.

ამიტომაც ეკლესიების წინამძღვრები სტაროსტები და სამრევლოთა სამხრუნველონი, რომელთაც კი ესმისთ ზარების მნიშვნელობა, ყოველივე ღონეს ღონობენ, რომ, რაც შეიძლება, კარგი ზარები მოიპოვონ თავიანთი ეკლესიებისათვის. მაგალითად საფრანგეთში რეგალიუციის შემდეგ, რომელმაც დიდი უბედურობა მიაყენა საფრანგეთს, სამღვდელოების პირველი საქმე იყო სამრევლოების ხელახლად აღშენება. მთვით უღარიბესი ეკლესიების მღვდლებიც ამ საქმეში დიდ გამჭრიახობას იჩენენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ, სამღვდელოებას ძალიან ცოტა გვეხმის ზარების ჩამოსხმის საქმე და ის, რაც ამ საქმეს შეეხება. ზარების მკეთებელთა რიცხვიც ისე მცირეა, რომ საძნელო ხდება მათი რჩევით ხელ-მძღვანელობა.

ეს არის მიზეზი, რომ სამღვდელოების შრომა და ხარჯი ჯეროვანად ვერ გვირგვინდება. ამიტომ ამ შენიშნით ჩვენ გვინდა, რამდენათაც ეს შესაძლოა, მო-





უთხრათ სამღვდლოებსა ზარების ჩამოსხმის საქმე, მათი წარმოება, სამრეკლოების შენება და სხვ.


ზარების ჩამოსხმისათვის საჭიროა ორი მდნეული: სპილენძი და კალა. სპილენძს იღებენ 75—78%<sup>0</sup>, კალას კი 25-22%<sup>0</sup>. თუ სპილენძი მეტი მოვიდა, მაშინ ზარს ეძლევა რბილი ხმა; თუ კალა მოემატა, მაშინ ზარა ადვილად ტყდება.

ზადატრით არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ მდნეულთა ფასი, რადგან მათი ფასი ხშირად იცვლება. მაგალითად ფუთი ახალი სპილენძი ფიტალებით ღირს 13 მანეთი, ძველი კი 9 მ. 50 კ. ინგლისური კალა მათეულებით ფუთი ღირს 23 მ. უკეთესი იქნება, ამ საქმის შესახებ დავეკითხოთ იმ პირთ, რომელნიც ნარდად ყიდიან რკინებს, სპილენძს და კალას. ძალიან წმიდა სპილენძი, რომელშიაც არაფერი სხვა ნივთიერება არ ურევია, წითელი ფერისაა. შევლახე უკეთესი სპილენძი იზოგება რუსეთში. თვისებით ეს სპილენძი სჯობია ინგლისურ სპილენძს, რომელიც ძალიან დიდ ხმარებაშია. რაც შეეხება კალას, ეს უმეტესად ინგლისიდან მოაქვს. ძალა უნდა იყოს მაგარი, თეთრი, როგორც ვერცხლი, არ უნდა ჰქონდეს ხმა, მოლუნვის დროს უნდა ჰქრიალი გაქონდეს. რბილს და ნაცრის-ფერ კალაში ტყვია ურევია; თუ კალას ხმა აქვს, ეს მისი ნიშანია, რომ მასში თუთია ურევია (ЦИНКЪ). ზარებისათვის თუთიას და სპილენძის ხმარება მანებელია, და ფასდაც ისინი კალაზე ოთხჯერ ნაკლებად ღირან.

ზარების ჩამოსახმელად უნდა იხმარონ პირველი ხარისხის სპილენძი, კალა კი მეორისა (პირველი ხარისხის კალა, რომელიც ინდოეთიდან მოაქვთ, და რომელსაც სახელად ბანკას კალას ეძახიან, ძალიან ძვირია); მაგრამ კალაში სხვა რაიმე ნივთიერება არ უნდა იყოს შერეული. — მათი სიტყვით ძალიან ფრთხილად უნდა იქმნეს არჩეული კალა და სპილენძი ზარების ჩამოსახმელად. როცა პირობით ვეკვრით ზარების ჩამოსახმელ ქარხნების პატრონებს, მათ უნდა მოვსთხოვოთ მინუშები, რომელიც უსათუოდ ქიმიურად უნდა იქმნენ გასინჯული ქიმიკოსისაგან, ანუ მდნეულთა ჩამოსახმელ ქარხნებში მომუშავე კაცისაგან, მაგრამ ამ კაცს არაერთაობე დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს იმ ქარხანასთან, რომელიც სამუშაოს იღებს. ნიმუშებზე, რომელნიც გასინჯვის შემდეგ კარგი გამოდგებიან, უნდა დაასვან როგორც ქარხნის ბეჭედი, ისე სამუშაოს მიმცემისა და უნდა შეინახონ წერილობით პირობასთან.

როცა მდნეულებს ჩააწყობენ საღობო ფერებში, ექსპერტებმა, სამუშაოს მიმცემისაგან დანიშნულებმა, უნდა თვალი ადევნონ, რომ მომზადებული ნივთიერება ნამდვილად მინუშებისთანა იყოს. სამუშაოს მიმცემს პირობის ძალით ნება აქვს გაასინჯოს გამოცდილ და მცოდნე პირთ ნაჭრები, რომელნიც დარჩებიან ზარების ჩამოსხმის შემდეგ, რომ შეიტყონ, თუ რამდენათ წმიდა არის მომზადებული ნივთიერება და რა ზომით არიან ნახმარნი. თუ ამ ნაჭრებში აღმოჩნდა ტყვია და თუთია, სამუშაოს მიმცემს ნება აქვს მოსთხოვოს მექარხნეს იმ ფულზე დაკლება, რომელიც ერგებოდა მას მთლად მთელი ზარის წონის შედარებით. წერილობით პირობაში უთუოდ ორი მუხლი უნდა იქმნეს შეტანილი: ზარის ხმა და მისი ხმის სხვა ზარების ხმასთან შეთანხმება უნდა შეამოწმოს იმ კაცებმა, რომელთაც კარგად იციან მუსიკა და რომელთაც დანიშნავს სამუშაოს მიმცემი; 2) ქარხანამ უნდა მიიღოს თავისთავზე ზარის ამართვა და მასთან ვალდებულია მოამზადოს ზარის ყოველივე მოწყობილება, როგორც მავენა, კოჭები, მსხვილი თოკები და სხვა.

მხლა ორიოდ სიტყვა ვსთქვათ თვით ზარების ჩამოსხმაზე. ზარას ენა ძალიან დიდი არ უნდა ჰქონდეს. შფრო მოსქო უნდა იყოს ზარის ის ნაწილი, რომელზედაც რეკის დროს სცემს ენა, რომ ზარი არ გატყდეს. ზემო ნაწილი ზარისა იმდენად სქელი უნდა იყოს, რომ მთელი ზარის სიმძიმეს უძლოს. შუა-რო ნაკლები სისქე უნდა ჰქონდეს ზარის შუა ნაწილს, რადგან მას არაფერი ძალა არ ადგია. ზემო ნაწილი ზარისა უნდა უდრიდეს  $\frac{2}{5}$ . ზარის ყურები უნდა შეადგენდენ  $\frac{2}{3}$  ოთხ-კუთხი სისქისას და სიმალისას  $\frac{1}{2}$ . ზარების სიმალე ყურებამდის უნდა იყოს 12, ხოლო დიდი ზარს გული 15. ბევრი სხვა და სხვა სიდიდის ზარების ხმების თანხმობა შეგვიძლია შევიტყოთ ამ ზარების სიდიდის ერთმანეთთან შედარებით. მეორე ზარის შუა გული უნდა შეადგენდეს  $\frac{9}{10}$  ნაწილს პირველისას, მესამის გული —  $\frac{9}{10}$  მეორისას და სხვა. ზარების ყველა სხვა ზომებიც უსათუოდ ერთი-ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდნენ. მესამე ზარის სიმძიმე უნდა ეთანახწორებოდეს პირველი და მესამე ზარის მთელი სიმძიმის ნახევარს.





### ახალი ამბები და შენიშვნები.

სიხარულით უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რომ მის მალალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოს პალაადის განუზრახავს წმ. მოციქულთ-სწორის, საქართველოს განმანათლებელის ნინას სახელზე სამლოცველოს აღშენება კალუბანის ეკლესიის გალავანში და სამწირვლოს აღშენება ამავე წმიდანის სახელზედ ანჩბატის ანუ თბილისის რაიონში მართლ-მადიდებელ ეკლესიასთან. ღღემდის ეს მშენიერი აზრი არავის მოსვლია. ღღეს კი, ჩვენდა სასიხარულოდ, მალალ ყოვლად უსამღვდელოესი, საქართველოს ექსარხოსი პალაადი მეცადინობს ღღესეულათ იღღესასწაულოს ამ ჩვენი გამანათლებელის ღღეობა და მის საუკუნო მოსახსენებლად აღაშენოს სამლოცველო და სამწირვლო. ამით მათი მეუფება დააკმაყოფილებს საქართველოს ხალხის ღღი ხნის ნატვრას. ამისთანა სამლოცველოს და სამწირვლოს აღშენება მით უმეტეს საჭიროა, რომ ღღემდის საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისში ამ შესანიშნავი წმიდანის სახელზე, რაიონსაც ისეთავე მნიშვნელობა აქვს ქართველთათვის, როგორც წმ. მლადიმირს რუსთათვის, არ იყო არც სამლოცველო და არც ტაძარი.

\* \*

როგორც მთელს რუსეთში, ისე საქართველოშიაც ღღის ამბით იღღესასწაულეს რუსების ნათლისღების ცხრა ასი წლის ღღესასწაული. მს ღღესასწაული თბილისში იღღესასწაულეს სამი ღღე. ამ ღღესასწაულობის სახსოვრად მისი მალალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პალაადის განკარგულებით აღშენებულ იქმნა მშვენიერი სამლოცველო წმ. მლადიმირის სახელზე და საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავი. მათმა მეუფებამ ამ ღღესასწაულზე ხალხს დაუჩივა 3,000 ცალამღე ცხოვრება წმ. ვლადიმირისა.

\* \*

მ. ქუთაისშიაც ეს ღღესასწაული ღღის ამბით იქმნა გაღღხილი; 14 ივლის ღღის თვეით ცისკარი შეღღსრულა ქუთაისის საკრებულო ტაძარში მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა ქალაქის სამღვდელოებითურთ. მეორე ღღესაც მათი მეუფებამ იყო მწირველი სობოროში. წირვის შემდგე ყოვლად სამღვდელო გაბრიელი შემოსილი გამობრძანდა ტაძრის სამხრეთის კარებში, დაღვა კიბეზე და რუსულს ენაზე წარმოსტევა გრძობით საღესე სიტყვა. ამავე ღღოს მეორე მხრით სობოროს ღღეანობი ამბობდა სიტყვას ქართულს ენაზე. წირვის გათავების შემდგე სამღვდელოება ღღიანიით წაღდა მღღინარე რიონზე საღაც, კლასიკური გიგნაზიის მახლობლად გაკეთებული იყო იორღანე. წყლის კურთხევის შემდგე ჯარმა, რომელიც ორ პირათ იღვა სობოროღამ თვით იორღანემღის, რამოღენიმეჯერ დასცალა თოღები. შემდგე ღღიანია იმავე წესით დაბრუნდა სობოროში.

\* \*

26 ივლისს, ღღის 9 საათზე მათი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი საქართველო-სამხნდრო გზით გაემგზავრა თბილისიღღან ვლადიკავკაისკენ. მათი მეუფება წაბრძანდა მისღამი რწმუნებული ეკლესიების და მონასტრების დასახნღად. ქველა ეკლესიები, რომელიც ამ გზის მახლობლად მღღებარეობღენ, დაათვაღიერა მათმა მეუფებამ. როცა ვლადიკავზში მიბრძანდა, ექსარხოსმა დაათვაღიერა იქაური ეკლესიები. აქვღღან მათი მეუფება წაბრძანდა ვლადიკავკაის და სოხუმის ეპარქიების ზოგიერთ შესანიშნავი ეკლესიების და მონასტრების დასათვაღიერებლად. სოხუმის ეპარქიაში მათ მეუფებას სურდა პიწუნღის სობოროს დათვაღიერება, მაგრამ, ძღიერი ქარისა გაამო, ვერ შევიღდა ნავთ-საღღურში. 10 ამ თოღეს მისი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობა მიბრძანდა ბათუმში, საღაც მათ მეუფებას მიეღება ყოვლად სამღვდელო გრიგორი. რიონის რკინის გზის საღღურზედ საქართველოს ექსარხოს პალაადის შეეგება ყოვლად სამღვდელო ბაბრიელი, ეპისკოპოზი იმერეთისა- ამავე ღღეს, ღღის 11 საათზე მათი მეუფება ჩაბრძანდა თბილისში.

\* \*

ამას წინეთ ჩვენ ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ბ. იღღარიონ მატარაძე ხნის საეკლესიო სკოლასო. ღღეს ნამღღილად შეეიტყეთ, რომ ამ საქმის შესახნბ ბ. მატარაძეს უკვე მიულია ნება-რთვა მისი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოზისაგან. ბ. მატარაძეს მიზნად აქვს ამზადოს პატარა ყმაწვიღები ქუთაისის სასულიერო სასწავღებღის მეორე მოსამზადებელი კლასისათვის, რაღღან ამ სასწავღებღელში დასაწყისი მოსამზადებელი კლასები დაიხურა.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილცნობაზე.

## ს ი ტ ყ ვ ა

თქმული მისი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან რუსთა ნათლის-ღებიდგან 900 წ. შესრულების დღესასწაულზე ქუთაისის საკათედრო სობორში 1888 წელსა ივლისის 15.

«სასუფეველი ცათა ემზგავსება ცომსა» (მათ. 13, 33).

დღეს მთელს რუსეთში სრულდება დიდი სულიერი დღესასწაულობა. რუსეთის ყოველი მხრიდან სხვა და სხვა წოდების პირნი მიემხრობიან ქ. კიევში, სადაც ცხრა საუკუნის წინ ამისა შესრულდა ნათლის-ღება რუსეთის ხალხისა, რომ მათ თვით იმ ადგილზე, სადაც ეს დიდი შემთხვევა მოხდა, მადლობა შესწირონ ღმერთსა მისი გამოუთქმელი მოწყალებისათვის, რომელიც მოიღო რუსეთმა დღეს დღეს, რომელთაც არ შეუძლიათ ადგილობით დასწრენ ამ დღესასწაულს, იგინი დღესასწაულობენ თავიანთ ეკლესიებში. მაგრამ მართლ რუსეთი კი არ დღესასწაულობს ამ დღეს, არამედ ქველა ქვეყნის მართლ-მადიდებელი ქრისტიანენი, რომელთაგანც კი მიანწია ხმამ რუსეთის ეკლესიის ამ დიდებულ დღესასწაულობაზე; ქველანი მილოცვის წერილებს უგზავნიან კიევის დიდ ეკლესიას—რუსეთის ქველა ეკლესიების დედას.

ეს არც გასაკვირვია! რუსეთის ხალხის მართლ-მადიდებელი სარწმუნოებაზე მოქცევას ჰქონდა და მუდამ ექმნება დიდი მნიშვნელობა მთელი რუსეთის ხალხისათვის, ხოლო შემდეგ დროში ეს შემთხვევა შეიქმნება მთელი ქვეყნის საქმედ. პირველად ვაჩვენოთ ის, თუ რა მნიშვნელობა მიიღო მართლ-მადიდებლობამ, საკუთრად, რუსეთის ხალხისათვის.

თუმცა ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დღესასწაულს, რომელზედაც ჩვენ ეხლა ვლან-პარაკობთ, მაგრამ შეიძლება მოკლევით გამოვხატოთ იგი. ამისათვის პირველად მოვიყვანოთ იმ მოკლევით, მაგრამ დიდ მნიშვნელოვან სახარების იგავს, რომლითაც დავიწყეთ ჩვენ ჩვენი სიტყვა. სასუფეველი ცათა; სიტყვა მაცხოვარმა, მზგავს ანს ცომისა, რომელიც მოიღო დედა-კაცმან, და შეერთო იგი ფქვილსა სამსა საწაულსა, კიდრქმდე აღაფუენა იგი ყოვლად (მათ. 13, 33).

ეხლა ჰაზრით გადავხედოთ ამ ცხრასი წლის წინ და გონების თვალთ გადავახედოთ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ადგილებს. აქ გაფანტულნი იყვნენ გუნდ-გუნდად სხვა და სხვა თემნი სლავიანთა ხალხებისა; მათში არა ვითარიმე კავშირი, ერთობა არ არსებობდა თითქმის; იგინი ერთი ერთმანეთისაგან დაშორებულნი იყვნენ დიდ-დიდი ტყეებით, მდინარეებით და ტბებით; ეს თემნი, თითქმის, ველურ მდგომარეობაში იყვნენ, მათ არ უწუოდენ ჭეშმარიტი ღმერთი, იგინი თავიანთსა სცემდენ ხის და ქვის კერპებს; ამ კერპებს ხან-და-ხან თავის შვილებსაც სწირავდენ მსხვერპლად. მათში არ მოიპოვებოდა არავითარიმე მისწრაფება სულიერი განათლებისადმი. ისინი უბრალო ეტნოგრაფიული მასალა იყვნენ, რომლისაგან არ ვინ უწყობდა, რა გამოვიდოდა. ეს ხალხი, მართალია, ძლიერი, ჯანსაღი და მდიდრულად დაჯილდოვებული იყო ფიზიკურად და სულიერად, მაგრამ მათში არ მოიპოვებოდა არავითარიმე სულიერი საფუარი, რომელსაც შეემუშავებია ეს მოკუნადებელი მასალა, გაეფიქრებია მასში ძლიერი სულიერნი ძალები, მიეცა ამ გროვისათვის ჯეროვანი მიმართულება, ეჩვენებია მისთვის ფართო გზა განათლებისადმი, ერთი სიტყვით, შეექმნა მისგან შეერთებული და ძლიერი ხალხი, რომელიც შემდეგში დადგომოდა განათლებისა და აუვალების გზასა. ამ მომქმედ ძალად შეიქმნა სწორედ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება თავისი მართლ-მადიდებელი ეკლესიით. რუსეთმა მიიღო ქრისტეს სარწმუნოება ბერძენთა მართლ-მადიდებელი ეკლესიისაგან. ამაში მდგომარეობდა მისი დიდი ბედნიერებაც. მართლ-მადიდებელმა სარწმუნოებამ თავისი მართლ-მადიდებ-



ლი ეკლესიით მაღლიანი და ნაყოფიერი ნიადაგი ჰქონდა რუსეთის ხალხში. მართლ-მადიდებელმა სარწმუნოებამ გადააკეთა რუსეთის ხალხის ხასიათი და მიმართულება, მან აღზარდა მისი სული; იგი მტკიცედ იცავდა და აძლიერებდა რუსეთს სხვა-და-სხვა უბედურ ისტორიულ მდგომარეობათა დროს, რომელნიც არა ერთ გზით სწევია რუსეთს, ამ სარწმუნოებამ დაიფარა რუსეთის ხალხი ამპარტავნებისა და მედიდურობისაგან იმ დიდ ძლიერ-მოსილობის დროს, რომელნიც ნშირად აბრმავებდენ და დუჰავდენ სხვა ხალხთა. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაცა დღეს კარგი და მიმზიდველია რუსეთის ხალხში,—ეს ჭემმარიტი დვთის-მოყვარეობა, ტანტისა და სამშობლოსადმი სიყვარული, დიდ-სულოვნობა, უნგარო და გაბედული შემძლეობა და თანაგრძნობა გაჭირებულთადმი, მაღალი და უძლიერევი გულადობა და ერთობა უბედურების დროს, რომელნიც სამშობლოს დადუჰვას უქადიან, ყველა ეს მაღალი და ძვირფასი თვისებანი უეჭველად დანერგულნი არიან რუსეთის დაბალ ხალხში მართლ-მადიდებელი სარწმუნოებით.

ვინ იყო ის, რომელიც პირველად აღიარია დმერთმა რუსეთის ხალხში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების გასავრცელებლად? ის იყო, ერთის მხრით, დიდი მთავრინა ოღდა, მაგრამ უმთავრესად მისი შვილის შვილი, დიდი მთავარი ვლადიმირი. როგორც ამ შემთხვევის ოთხი საუკუნით ადრე აღიარია დმერთმა მოციქულთსწორნი კონსტანტინე და ელენე, რათა მათი საშუალებით საბოლოოდ დაემყარებია მართლ-მადიდებელი ქრისტიანობითი სარწმუნოება მთელს ბერძენთ—რომაელ ქვეყნებში, აგრეთვე რუსეთში რუსეთის ხალხის განსანათლებლად შეიქმნენ ვლადიმირი და ოღდა. თავის უბრალოდ და სადი ჭკუით ვლადიმირმა ყველა იმ სარწმუნოებათა შორის, რომელნიც მას წარუდგინეს, გამოიყნო, თუ რომელი იყო ჭემმარიტი და ყველაზე უკეთესი სარწმუნოება და ამ სარწმუნოებით გააბედნიერა არა მარტო რუსეთი, არა მედ მთელი ქვეყნიერება. ძნელი წარმოსადგენია ის, თუ რა დაემართებოდა რუსეთს და მთელს ევროპასაც, რომ ვლადიმირს, ნაცვლად მართლ-

მადიდებელი სარწმუნოებისა, მიეღო მოსლემანთა სარწმუნოება, რომელსაც ურჩევდენ მას მეზობელ მოსლემანთა მქადაგებლები და ეს სარწმუნოება გაევრცელებინა რუსეთის ხალხში! ამაზე უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ვლადიმირს მიეღო კათოლიკეთა მქადაგებლების რჩევა. მაგრამ ვლადიმირმა აღიარია რუსეთის ხალხისათვის მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და ამით მტკიცე საფუძველი დაადგინა მისი დღე-კეთილობისათვის.

ვგონებ, რაცა ვსთქვით ამ დღესასწაულობის მნიშვნელობაზე რუსეთის ხალხისათვის, საკმაო არის. ენლა, შეძლებისა და გვარად, გამოვიკვიროთ ამ დღესასწაულის მეორე გვარი მნიშვნელობა, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ზედ-გავიღენა, რომელიც სხვა ხალხებზე იქონია რუსთა მიერ მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მიღებამ. ჩვენ ზემოთაც მოვიხსენეთ მოკლედ, რომ რუსებისაგან ნათლის-ღების მიღება ვლადიმირის მიერ შემდეგში მსოფლიო მნიშვნელობას მოიპოვეს-თქო. მართლაც, მართლ-მადიდებელი რუსეთი მართლ-მადიდებელი სარწმუნოებით აღზრდილი და სულიერად გაძლიერებული, რომელსაც თავიდაგანვე ხელ-მძღვანელობდენ მისი ბრძენი მეფეები, ხოლო შემდეგში იმპერატორები, ნედ-ნელა იზრდებოდა ფიზიკურად და ზნეობითად, ვრცელდებოდა და ძლიერდებოდა და ბოლოს იგი დიდ და ძლიერ იმპერიად შეიქმნა. ამ დროს მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და ეკლესია აღმოსავლეთისაკენ შესამჩნევად კლებულობდა მაჰმადის აღმსარებელთა დევნის და შევიწროებისა გამო. ამ უბედურების დროს აღმოსავლეთის უველა მართლ-მადიდებელი ხალხი შესჩერებოდენ ჩრდილოეთისაკენ მართლ-მადიდებელ და ძლიერ რუსეთის სახელმწიფოს და მისაგან მოელოდენ ჰველას. მათი იმედი არ გამტყუნებულა. მთელმა ქვეყანამ უწყის, თუ რამოდენი საკუთარი სისხლი დასთხია რუსეთმა აღმოსავლეთის ქრისტიანების დასაფარავად. მაგრამ ყველა



ამ ხალხებში მართლ-მადიდებელმა საქართველომ უწინარეს უოველთა გამოსცადა თავის თავზე ძლიერი მფარველობა რუსეთის ხალხისათვის მეთექვსმეტე საუკუნიდამ დაწყებული საქართველოს მეფეებმა და მფლობელებმა დაიწყეს მიმოსვლა რუსეთის მეფეებთან, რომელთაც სთხოვედნ მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა და საქართველოს ხალხის მოსლემანთა ფანატიზმისაგან დაფარვას. მაგრამ იმ დროს რუსეთი ისე ძლიერი არ იყო, რომ გამოეღაშქრა კავკასიონის მთებს აქეთ. ბოლოს კი იმპერატორმა ალექსანდრე კურთხეულმა შეაწყნარა მართლ-მადიდებელი საქართველოს თხოვნა, რუსეთს შეუერთა საქართველო და ჯარი გამოგზავნა საქართველოს დასათარავად. საქართველო ამ დროს უკიდურეს მდგომარეობაში იყო, იგი მთლად აოხრებული, დაგლეჯილი და გასისხლიანებული იყო, ქალაქები და სოფლები აოხრებულნი, ეკლესიები დაზარეულნი; ის მცირე ნაწილი ქართველებისა, რომელიც კი მტერს გადერჩა, ტყეებში და კლდეებში იმალებოდა: თითქმის ერთი საუკუნე იომა განუწყვეტლად რუსეთმა, ვინემ საქართველოს გარემე მტრებს მოაშორებდა. მხოლოდ ერთმა დმერთმა უწყის, რამოდენი სისხლი და ფულია დახარჯული რუსეთისაგან, სანამ საქართველოში სამუდამოდ არ იქმნა დამყარებული მშვიდობა. და აი ეს ქვეყანა და მისი მკვიდრნი სტკებინ დდეს მყუდროებითა და კეთილ-დღეობითა, რომელსაც უნდა უმადლოდენ რუსეთსა.

დმერთიც ცხადად და სხვა და სხვა სახით ანიჭებს მრავალფერს კურთხევას რუსეთის ხალხს უოველივე მისი დიდი და უანგარო მსხვერპლისათვის, რომელიც მან შესწირა მართლ-მადიდებელი სარწმუნოების სასარგებლოდ. დმერთი მუდამ და თავის დროზე ანიჭებს რუსეთის ხალხს ბრძენ წინამძღოლთ, რომელნიც წინ უძღვიან თავიანთ ხალხს სიმართლის და დიდების გზაზე. აგეთი იყო პირველთა შორის

პირველი, მოციქულთ-სწორი ვლადიმირი, ასეთები იქვნენ ვლადიმირ მონომახი, დიმიტრი დონსკოი, პეტრე, უმადლესი სახელმწიფო გენიოსი, ბრძენი ვეატირინე, კურთხეული ალექსანდრე, აგეთი იყო ალექსანდრე II და ასეთი აწინდელი ხელმწიფე ალექსანდრე III.

მაცხოვარმა რქვა: შაჰკულად ეძიებდეთ სასუფოველსა დვთისასა და უოველივე სხვა მოკატეს თქვენ. ბრძენმა ვლადიმირმა ჰპოვა სასუფეველი დვთისა, მან იხილა იგი მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაში, რომელიც დახერგა მან თავის ხალხში. მისი უველა მოადგილენი დირსეულად ჰბაძვდენ მას ამ საქმეში და მფარველობდენ მართლ-მადიდებელ ეკლესიას, იგინი უოველივე დონის ძიებით ცდილობდენ, რათა ჭეშმარიტად დაენერგათ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება რუსეთის ხალხში და გაეგრცელებიათ მთელს რუსეთში სასუფეველი და სიმართლე დვთისა. სწორეთ ამან გააძლიერა და აღაყვავა რუსეთი.

ჩვენც, ძმანო ქრისტიანენო, ვეცადოთ, დავენერგოთ სასუფეველი დვთისა ჩვენს გულში. მხოლოდ ეს არის ჭეშმარიტი საფუძველი კეთილ-დღეობისა და ბედნიერებისა როგორც მთელ სახელმწიფოისათვის, ისე თითოეული პირისათვის. ვეცადოთ, რათა უველგან და უოველივეში ვეძიებდეთ და ვიქმოდეთ სიმართლესა.

ვისურვოთ, რათა რუსეთი სამუდამოთ ჰყვაოდეს! დაიფაროს და აკურთხოს იგი დმერთმა და დაიცვას მასმინა სული სიყვარელისა და სიმართლისა და მიანიჭოს მას უოველთვის ბრძენი და კეთილ-მორწმუნე წინა-მძღვარნი. ამინ.





# ყველასათვის სასარგებლო სწავლა.

1) ჰქონდეს მტკიცე სარწმუნოება და სიყვარული ღმერთზედ, ყოველივე ხილულ და უხილავ არსებათა შემოქმედზედ...

2) იქონიე სიყვარული და პატივის ცემა მოყვანისადმი.

3) მტკიცედ და მუყათად ისწავლე, ვიდრემდის სწავლას ადგიხარ და შენი ნახსოვრობის ნიჭი ხელს გიწყობს.

4) თუ გსურს შესწავლა რომელიმე საქმისა, მტკიცედ დაადექი მასზედ და ვინემ კარგათ არ შეისწავლო, ხელს ნუ აიღებ.

5) მაუფრთხილდი შენ ხორციელ და სულიერ უმანკობას და დაიცევ იგი შენი თვალის გუფასავეთ. ბარყენილნი თავის დროში ბედნიერებას ვერ ეღიარებინან.

6) მტკიცედ დაადექი ერთ ხელობას და, სანამ იგი არ გაათავო, ნუ გამოიცვლი მას.

7) ნურას დროს უსაქმოდ ნუ გაჩერდები. შენი გონება და ხელები ყოველთვის ასაქმე და ამოქმედე, შეასვენე იგინი ძილის დროს. მახსოვდეს, რომ შრომა არის ერთი უმთავრესი პირობა კაცის ბედნიერი ცხოვრებისა.

8) მცადე, რომ ყოველივე მალე გააკეთო, მაგრამ ნუ აჩქარდები, რომ საქმე არ დააბრკოლო. შოველთვის დაიწყე საქმე მკირედან და გადადი უმეტესზე, ნურასოდეს საქმეს დიდიდგან ნუ დაიწყებ.

9) დაწყებული საქმე ყოველთვის დაათავე, დაასრულე და სამერმისოთ ნუ გადასდებ. ნუ ისურვებ უცებ გამდიდრებას. უმდიდრესი და უბედნიერესია ყველა მდიდარზე ის კაცია, რომელიც თავისი ხვედრით კმაყოფილია,

10) ძალიან ნუ დაენდობი სხვის რჩევებს, იყავი დამოუკიდებელი, მტკიცედ დაადექი შენს გარდაწყვეტილებას და ყველასთან პირიანათ იყავი. არა წმინდა და სულათ მდაბალს ხალხს ნუ დაუახლოვდები, და ნურც დაიხლოვებ, ეცადე შორს იყო მათგან.

11) შეიყვარე სიმათლის მოქმედნი, რომ კედეც საწყენად მიგჩნდეს მათგან გამოთქმული სიმათლედ და განემორე ცრუთა და მატყუართა. ნურასოდეს კაცზედ სრულს იმედს და სასოებას ნუ დასდებ, უფრო შენი თავის იმედი იქონიე და შენისაკუთარი მსჯელობისა.

12) ნურასოდეს ნუ დაივიწყებ, რაც უნდა ამალდე ცხოვრებაში, რომ შენ ხარ კაცი, მსგავსი სხვა კაცთა, რომელნიც ლეთისაგან არიან გაჩენილნი.

13) შეეღას თავაზიანად მოექეცი, მაგრამ თუ ეს თავაზიანობა ცუდათ მოქმედებს შენს მოყვასზედ, მაშინ მოექეცი მას ისე, როგორც მისთვის სასარგებლო იქნეს.

14) იყავ სულ-გრძელი და მხნე სიტყვით და საქმით, კაცის შუღლს და ცხოვრებას, როგორც აგორებულ ზვირთს, ნუ შეუშინდები.

15) ღვენმარე გაჭირებულთ და დაჩაგრულ მოყვასთა, ძვირათაც რომ დეგვიდეს ეს დახმარება. ღვენას მიიღებ, მაგრამ ღმერთი შემწყობ გეყოლება.

16) შოველთვის წინეთ იფიქრე მასზე, რაზედაც ლაპარაკი გსურს და ნურასოდეს ნუ გამართავ კაცთან საუბარს იმისთანა საგანზედ, რომელიც არ გესმის.

17) სასმელ-საქმელში დაიცევ მტკიცე ზომიერება.

18) მოიხმარე ლეთისაგან მოცემული ნიჭი შენ და შენი მოყვასის საკეთილ-დღეოდ.

19) მიჩივი შენი გონება ლეთისადმი ლოცუვედრებას...

20) შოველ გაჭირებაში და ბედნიერებაში უნდა გახსოვდეს ის, რომ შენ უნდა გამოეთხოვო ამ წუთი. სოფელს მალე, თუ გვიან და ქვეყანაზედ შენი კარგი სახელის მეტი მოსახსენებლად არაფერი არ დარჩება...

შ ი ნ ა რ ს ი: ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.—მღვდლის სამსახურისადმი მოწოდებაზე.— დღესასწაულობა რუსთა ნათლისღებიდგან 900 წლის შესრულებისა ქ. კიევში.—რუსთა ნათლისღებიდგან 900 წლის შესრულების დღესასწაულობა ქ. თბილისში.—საზიზღარი მკვლელობა.—შენიშვნა ზარეზე.—ახალი ამბები და შენიშვნები.— სიტყვა, ყოვლად სამღვდელო იმერეთისეპისკოპოსისა.—ყველასათვის საჭირო სწავლა.